<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, გრიგოლ ორბელიანის I ჩიხისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ორი ჩიხისთვის მსახიობის ბარბარე გამრეკელის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, გრიგოლ ორბელიანის I ჩიხს, მასთან არსებულ უსახელო ქუჩას და ორ ჩიხს მიენიჭოს მსახიობის ბარბარე გამრეკელის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1:1,250
X=485249 Y=4629311
X=485391 Y=4629241
X=485459 Y=4629247
X=485389 Y=4629242
X=485368 Y=4629192
X=485553 Y=4629163

ბარბარე გამრეკელი

(1893-1970)

მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. ქართველი მომღერლის დავით გამრეკელისა და რეჟისორ ბორის გამრეკელის და.

ბარბარე გამრეკელმა სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1913 წელს მოსკოვში კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ე. წ. „თავისუფალ თეატრში“ 1916 წელს დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობდა ქუთაისისა და თბილისის თეატრებში.ბაბო გამრეკელის თეატრალური ცხოვრება შემთხვევით არ დაწყებულა. ეფემია მესხი იყო ბაბოს დეიდა და მისდამი განსაკუთრებულმა სიყვარულმა განაპირობა ქალიშვილის მომავალი. მოსკოვამდე ბაბოს ოჯახი ცხოვრობდა ბაქოში და ჯერ კიდევ ბავშვი, მონაწილეობდა იქაური ქართული თეატრის წარმოდგენებში. საქართველოში დაბრუნებული ნიჭიერი ახალგაზრდა თეატრალურ მოღვაწეობასთან ერთად, მეცადინეობს თბილისის კონსერვატორიაში ვოკალურ განყოფილებაზე. 1916 წელს საფრანგეთიდან ჩამოვიდა რეჟისორი გიორგი ჯაბადარი, რომელმაც თბილისში საფუძველი ჩაუყარა დრამატულ სტუდიას. აქ სწავლობდნენ ვერიკო ანჯაფარიძე, მიხეილ ჭიაურელი, აკაკი ვასაძე და მასთან ერთად ბარბარე გამრეკელი. 1920 წლიდან იგი სახელმწიფო დრამის თეატრის (ყოფილი არტისტული საზოგადოების თეატრი, რომელსაც 1921 წლის 25 ნოემბერს ეწოდა შოთა რუსთაველის სახელი) მსახიობია. დაახლოებით 6 წლის განმავლობაში მას უხდებოდა კოტე მარჯანიშვილთან მოღვაწეობა.

1928 წლიდან წელიწადნახევარი ბაბო გამრეკელი მოზარდმაყურებელთა ქართულ თეატრშია. შემდეგ იგი ისევ კოტე მარჯანიშვილის თეატრს უბრუნდება, სადაც სულ 42 წელი იღვაწა. 1948 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ამავე თეატრის მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გამგე.

ქართულ თეატრში ბაბო გამრეკელმა შექმნა დაუვიწყარი სახები: ელენე (მარიკა ბარათაშვილი „მარინე“), ელისაბედი (ვასო პატარაიას „სანაპიროზე“), ხლოპოვის ცოლი (ნიკოლოზ გოგოლის „რევიზორი“), ჰორტეზია (კარლო გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“), გრაფინია ალმავივა (პიერ ბომარშე „ფიგაროს ქორწინება“), მარეხი (ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“), აგრაფინა (შალვა დადიანის „გუშინდელნი“), ისახარ (ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“) და სხვა.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011705525382922

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

 # 33923 **25 / თებერვალი / 2022 წ.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს
მის: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2022 წლის 21 თებერვლის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N M22002272 განცხადებით მომართა მოქალაქე თამარ მჭედლიშვილმა (პ/ნ:31001032744) რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, გულისაშვილის (გლდანი ნუცუბიძე) ნაკ. N011111001021 (საკადასტრო კოდით N01.11.11.001.124).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N01.11.11.001.124) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,

სამისამართო სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

წერილის ნომერი: **03-032207445**
თარიღი: **15/03/2022**
პინი: **9170**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას 2022 წლის 25 თებერვლის საქმე #04-032205661-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე თამარ მჭედლიშვილის N M22002272 განცხადების საფუძველზე ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას (ს.კ. 01.11.11.001.124).
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
მოგმართავთ თხოვნით, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ზემოაღნიშნულ საკადასტრო ერთეულთან გამავალი უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3(სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0122080541**
თარიღი: **21/03/2022**
პინი: **5547**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 15.03.2022 წლის #03-032207445 (15.03.2022წ. #14-01220742709-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი